ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4441095

ნომერი: AR1665206

თარიღი : 02.03.2019

გაცემის თარიღი : 01.04.2019

გაცნობის თარიღი : 02.04.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ქურთაული პ/ნ 01001092185
- თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 15 ბ. 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 01 მაისის №3938554 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 02

მარტს N AR1665206 განცხადებით მომართა თამარ ქურთაულმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 01 მაისის №3938554 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 01 მაისის №3938554 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი-დიღომი, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.764), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 01 მაისიდან 2021 წლის 01 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4004111 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 01 მაისის №3938554 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საერთო ფართობი: 8726.58 კვ.მ. საოფისე ფართობი: 3596.0 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 629.5 კვ.მ.
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 01 მაისის №3938554 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ითხოვს საზაფხულო ფართობად 629.5 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად: 3596.0 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 8726.58 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ საპროექტო დიკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4004111 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 01 მაისის №3938554 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საერთო ფართობი: 8726.58 კვ.მ. საოფისე ფართობი: 3596.0 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 629.5 კვ.მ. შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია სამსახურის 2018 წლის 08 ივნისის №4004111 ბრძანებით. აქედან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია განცხადების დაკმაყოფილებისა და უკვე დაფიქსირებული მაჩვენებლების ხელმეორედ დაფიქსირების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.